პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---თებერვალი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, თამაზ სეფერთელაძის ქუჩისთვის სოლომონ ზალდასტანიშვილის I შესახვევისა და I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, თამაზ სეფერთელაძის ქუჩის მონაკვეთს აღუდგეს ძველი სახელწოდება და მიენიჭოს სოლომონ ზალდასტანიშვილის I შესახვევის სახელი თანდართული რუკის თანახმად.

2. მთაწმინდის რაიონში, თამაზ სეფერთელაძის ქუჩის მონაკვეთს აღუდგეს ძველი სახელწოდება და მიენიჭოს სოლომონ ზალდასტანიშვილის I გასასვლელის სახელი თანდართული რუკის თანახმად.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის მომღერლის თამაზ სეფერთელაძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის #393 განკარგულება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---თებერვალი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მომღერლის თამაზ სეფერთელაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს მომღერლის თამაზ სეფერთელაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:482393 Y:4616559
X:482457 Y:4616544
თამაზ სეფერთელაძის
სახელობის სკვერი
X:482445 Y:4616533
X:482451 Y:4616527
X:482436 Y:4616523
X:482443 Y:4616524

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლოების კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ ლევან აბაშიძეს,

ბატონო ლევან,

ჩვენთვის, სოლომონ ზალდასტანიშვილის ქუჩის მაცხოვრებელთათვის, ცნობილი გახდა, რომ ამ ქუჩის ნაწილს სახელი შეეცვალა და მას თამაზ სეფერთელაძის სახელი ეწოდა. ჩვენთვის, ვინც წლებია ვცხოვრობთ ზალდასტანიშვილის ქუჩაზე, არავის უკითხავს, თანახმანი ვიყავით თუ არა ამ ცვლილებაზე. ჩვენ არავინ შეგხვედრია და არავის მოუსმენია ჩვენი პოზიცია. ჩვენი პოზიცია კი ერთმნიშვნელოვანია: ჩვენ ამაყები ვართ, რომ მთაწმინდის ამ ისედაც პატარა ქუჩას ქართველების ტრაგიკული გმირის, ბოლშევიკებთან მებრძოლი სოლომონ ზალდასტანიშვილის სახელი ჰქვია - კაცისა, რომელმაც ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად მიიღო 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობა და მთელი ცხოვრება ბრძოლასა და ქართველების გადარჩენაში გალია (მათ შორის, ნაცისტთა მიერ დატყვევებული 500 ქართველის, რომელთა გამოხსნასაც თავადვე შეეწირა 1941 წელს). 2024 წელი ამ აჯანყების ასი წლისთავიცაა და ძალიან სამწუხაროა, რომ საბჭოთა ცენზურის მიერ კოლექტიური მეხსიერებიდან განდევნილი ეროვნული გმირის სახელ-გვარი კვლავაც უსამართლო შეზღუდვის ქვეშ მოექცა. ამ ქუჩის მთელი ეს მონაკვეთი ისტორიულადაც კი დაკავშირებულია სოლომონ ზალდასტანიშვილთან და სხვა ცნობილ მოღვაწეებთან, რომელთა ხსოვნასაც ეს ადგილები ატარებს (მათ შორის, უშუალოდ ზედა მონაკვეთიც, ანუ შესახვევი, რომელსაც სახელი გადაერქვა). ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არ გვაქვს ანსამბლ „ცისფერი ტრიოს“ ყველასთვის ძვირფასი წევრის, თამაზ სეფერთელაძის მიმართ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ სოლომონ ზალდასტანიშვილის სახელი ისევ ისე უნდა ერქვას მთელ ქუჩას (პატარა შესახვევსა და ჩიხს), როგორც აქამდე ერქვა. მით უმეტეს, რომ აქ მაცხოვრებელთათვის აზრი არავის უკითხავს.

გთხოვთ, შეცვალოთ თქვენი გადაწყვეტილება და უცვლელად დატოვოთ ჩვენი ქუჩის სახელწოდება, რადგან ცვლილება არც ისტორიულად და არც ეთიკურად არ იქნება გამართლებული.

პატივისცემით,

სოლომონ ზალდასტანიშვილის ქუჩის მაცხოვრებლები

ლამა ბუღაძე 01008000287 [illegible]

[illegible] 01013036950. [illegible]

[illegible] 01013036356 [illegible]

[illegible] 01017007627 [illegible]

[illegible] 01017012603 [illegible]

[illegible] 01017033059 [illegible]

[illegible] 01001060381 [illegible]

Марзоева Кора [illegible]

[illegible] 01017029915 [illegible]

[illegible] 01017024812 [illegible]

[illegible] 01008021241 [illegible]

[illegible] 40001002157. [illegible]

გიორგი კაკანაძე 01024053114 [illegible]

[illegible] 01017027314. [illegible]

1. [illegible] 01015014771

[illegible]

[illegible] 01008025963 [illegible]

[illegible] 01008067101 [illegible]

[illegible] 01008011735 [illegible]

[illegible] 01008025964 [illegible]

თინა ზამთიანი 01001068624 [illegible]

მარინა კელეშოვი 01002004554 [illegible]

ანა ზამთიანი 01002017458 [illegible]

[illegible] 01017020891 [illegible]

[illegible] 01017033140 [illegible]

[illegible] 01017026651 [illegible]

[illegible] 01017008307 [illegible]

[illegible] 01017021861 [illegible]

[illegible] 01017028282 [illegible]

[illegible] 01017016015 [illegible]

[illegible] 01008059115 [illegible]

[illegible] 01017050120 [illegible]

[illegible] 01017025446 [illegible]

[illegible] 01017026382 [illegible]

[illegible] 01017025473 [illegible]

[illegible] 01017015989 [illegible]

[illegible] 01020005891 [illegible]

[illegible] 15001000461 [illegible]

[illegible] (ვ. [illegible])

01017026651 [illegible] 15001000460

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032424758**
თარიღი: **03/09/2024**

ადრესატი: მაია დანელია
პირადი ნომერი: 01017026651
მისამართი: ს. ზალდასთანიშვილის შეს 13

ქალბატონო მაია,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი 19/03242402-03 წერილთან დაკავშირებით.

როგორც მოგეხსენებათ, სოლომონ ზალდასტანიშვილი ქუჩა მდებარეობს მთაწმინდის რაიონში, ძმები კაკაბაძეების ქუჩიდან წმინდა მიქაელ ტვერელის სახელობის ეკლესიამდე, ფერხულის შესახვევს სოლომონ ზალდასტანიშვილის სახელი 1994 წელს ეწოდა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას საქმიანობის არცერთ ეტაპზე არ განუხილავს და არც აპირებს განიხილოს ქუჩისთვის საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი ისეთი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის სახელის გადარქმევა, როგორიც სოლომონ ზალდასტანიშვილია.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამის დამისამართების პროცესს რიგ გეოგრაფიულ ობიექტებთან მიმართებით თან სდევს ისეთი ცვლილებები, რომელიც გამომდინარეობს ურბანული და ქალაგეგმარებითი საჭიროებებით. სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევს და გასასვლელს არ ჰქონდა დამოუკიდებელი კავშირი ძირითად - ზალდასტანიშვილის ქუჩასთან. შესახვევი და გასასვლელი გაერთიანებით ყალიბდებოდა ერთ დამოუკიდებელ ქუჩად რაც გეგმარებით შესაბამისობაში მოდიოდა ფაქტობრივ მდგომარეობასთან.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება შესახვევისა და გასასვლელის გაერთიანების, და წარმოქმნილი ქუჩისთვის თამაზ სეფერთელაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

სახელდების პროცესის საჯაროობის და დაინტერესებული პირების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად განხილვის პროცესში არსებული საკითხები საკრებულოს ოფიციალურ ვებ გვერდზე არანაკლებ ოცი დღის ვადით საჯაროდ ქვეყნდება და დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ განხილვაში.

ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი განცხადებით დგინდება, რომ ქუჩაზე მაცხოვრებელი ადამიანები არ იყვნენ ინფორმირებული ცვლილებების შესახებ და საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება გაგაჩნიათ, კომისია იღებს ვალდებულებას, გააუქმოს ქუჩისთვის თამაზ სეფერთელაძის სახელის მინიჭების გადაწყვეტილება.

გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილია შესახვევი და გასასვლელი ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქუჩად, მზად ვართ მომავალში ასევე თქვენი მონაწილეობთ და თქვენი მოსაზრებების გათვალისწინებით ვიმსჯელოთ ხსენებული ობიექტის ქუჩად ფორმირების და მისთვის თქვენთვის მისაღები სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

01017026651
მარია დანელია
ს. ზალდასტანიშვილის შესახვევი
577995160

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე ბატონ გიორგი ტყემალაძეს

მოგეხსენებათ, რომ 27 აგვისტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონ გიორგი ტყემალაძის და საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ბატონ ლევან აბაშიძის სახელზე შემოტანილ იქნა სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევის და გასასვლელის მაცხოვრებელთა წერილები. აღნიშნულ წერილებში მოსახლეობა კატეგორიულად აპროტესტებდა შესახვევის და გასასვლელის სახელის ცვლილებას. 5 სექტემბერს პასუხად მივიღეთ წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდების და სიმბოლიკის კომისიამ დაიწყო ადმინისტრაციული საქმის წარმოების პროცესი 19/03242402-03 წერილთან დაკავშირებით. წერილში მითითებულია, რომ საკითხთან დაკავშირებით რადგან მოსახლეობას განსხვავებული მოსაზრება გააჩნია, კომისია ვალდებულებას იღებს გააუქმოს ქუჩისთვის თამაზ სეფერთელაძის სახელის მინიჭების გადაწყვეტილება.

მიუხედავად ამისა, დღემდე ჩვენ იურიდიულ მისამართად მითითებულია თამაზ სეფერთელაძის სახელი.

ჯერ კიდევ წინასაარჩევნოდ, როდესაც მოსახლეობა ვერ არკვევდა რომელ ქუჩაზე და რომელ ნომერში ცხოვრობდა, ყველა ორგანოში დავიწყეთ საკითხის გარკვევა. საკრებულოში, ასევე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში განხორციელებულ იქნა არაერთი სატელეფონო ზარი. ყოველ ჯერზე კომპეტენტური პირები გვპასუხობდნენ, რომ ტექნიკურად ვერ მოესწრო ცვლილების განხორციელება და პირველივე სხდომაზე გატანილ იქნებოდა საკითხი ისევ სოლომონ ზალდასტანიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი სხდომა ჩატარდა საკითხი ისევ მოუგვარებელია და დღემდე არაფერი შეცვლილა.

მოსახლეობა ითხოვს შესახვევს და გასასვლელს დაუბრუნდეს მისი კუთვნილი სახელი ,, სოლომონ ზალდასტანიშვილი"- ს შესახვევი და გასასვლელი.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ვამაყობთ და მუდამ ვიამაყებთ რომ დავიბადეთ, გავიზარდეთ და ვცხოვრობთ სოლომონ ზალდასტანიშვილის ქუჩაზე. ჩვენი აზრი უცვლელია და უკვე თითქმის ნახევარი წელია ველოდებით დაპირებული ცვლილების შესრულებას.

წერილს ხელს აწერს სოლომონ ზალდასტანიშვილის შესახვევის და გასასვლელის მოსახლეობა.

29.01.2025.

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
[illegible]

8. მარი ღვინერია (მ. ღვ...)
9. ქეთევან დანელია ქ. დ...
10. მერი ჭიჭინაძე – მ. ჭ
11. მარინე კობულაშვილი
12. [illegible] [illegible]
13. ნინო ლომაძე
14. ლია ჭოხონაძე
15. მიხეილ ლაბაძე მ.
16. მაყვალა მორგულაშვილი მ.
17. თემური ლაბაძე თ.
18. მერაბ [illegible] მ.
19. ვაჟა ჩაჯიაშვილი ვ.
20. ანი ჩაყიძე ა. ჩაყიძე
21. ლუკა ჩაჩიძე ლ. ჩაჩიძე
22. ნათელა ჩაწიძე ნ. ჩაწიძე
23. ლეონიდე ბურჭულაძე ლ.
24. ვახტანგ მაიშელაშვილი. ვ.
25. [illegible] ქირქიტაშვილი [illegible]. ქირქიტაშვილი
26. [illegible] ლაღაშვილი
27. ავთანდილ ლაღაშვილი ა. ლაღაშვილი
28. ლილი ციცქიშვილი
29. შალვა მამრიანი
30. მაჩინო კალოშოვი
31. თინა ქამრიანი
32. [illegible]

33 [illegible] (გ. [illegible])

34 [illegible] (ბ. [illegible])

35 [illegible] (ხ. [illegible])

36 [illegible] (ე. [illegible])

37 [illegible] (?. [illegible])

38 [illegible] (ვ. [illegible])

39 [illegible] (ლ. [illegible])

40 [illegible] (ვ. [illegible])

41 [illegible] (ო. [illegible])

42 [illegible] (ქ. [illegible])

43 [illegible] (ა. [illegible])

44 [illegible]

45 [illegible]

46 [illegible] (ე. [illegible])

47. [illegible]

48 [illegible]

49 [illegible]

50 [illegible]

51 [illegible]

52 [illegible]

53 [illegible]

54 [illegible]

55 [illegible] (ს. [illegible])

56 [illegible] (ლ. [illegible])

57 [illegible] (ვ. [illegible])

58 [illegible] (ნ. [illegible])

59 [illegible] (ლ. [illegible])

60 [illegible]

61 [illegible]

62. [illegible]

63 [illegible]

64 [illegible]

65 [illegible]

66 [illegible]

67 [illegible]

68 [illegible]

69 [illegible]

70 [illegible]

71. [illegible]

72. [illegible]

73. [illegible]

74. [illegible]

75. [illegible]

76 [illegible]

77. [illegible]

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032504535**
თარიღი: **14/02/2025**

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში, მოქ. მაია დანელიას 19/03250291-03 და 19/03242402-03 წერილების საფუძველზე მიმდინარე საქმისწარმოების ფარგლებში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს თამაზ სეფერთელაძის ქუჩისთვის ძველი სახელის აღდგენა/მინიჭების საკითხს.

აღნიშნულის გათვალისწინებით თამაზ სეფერთელაძის სახელის მინიჭების მიზნით მომღერლის ოჯახის წევრებთან კონსულტაციების საფუძველზე შეირჩა უსახელო სკვერი მთაწმინდის რაიონში, ტვერელის ეკლესიის მიმდებარედ, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩასთან.

გთხოვთ, საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032432335**
თარიღი: **18/11/2024**

ადრესატი: საქართველოს საპატრიარქო
მისამართი: ერეკლე II-ის მოედანი, N1

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანს
დეკანოზ მიქაელ ბოტკოველს

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს მთაწმინდის რაიონში, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩისა და წმინდა მიხეილ ტვერელის ტაძრის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის მომღერალ თამაზ სეფერთელაძის სახელის მინიჭების საკითხს.

აღსანიშნავია, რომ თამაზ სეფერთელაძე დაიბადა და ცხოვრობდა მთაწმინდის რაიონში, აღნიშნულ უბანში. სკვერისთვის მისი სახელის მინიჭება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნება როგორც ლოკალური, ასევე ქალაქის მასშტაბით.

მოსაზრებების არსებობის შემთხვევაში, კომისია მზად არის განიხილოს საპატრიარქოს ნებისმიერი წინადადება.

ცნობის სახით გიგზავნით ხსენებული სკვერის სიტუაციურ ნახაზს.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის
მდივანი
0105, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: (995 32) 99 03 78, 98 27 09
ფაქსი: (995 32) 98 71 14

SECRETARY OF THE
CATHOLICOS-PATRIARC
OF ALL GEORGIA
#1 King Erekle II sq. Tbilisi 0105,
Tel: (995 32) 99 03 78; 98 27 09
FAX: (995 32) 98 71 14

№140

11 თებერვალი, 2025

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებებისა
და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე,
ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

თქვენი წერილის პასუხად (03-032432335; 18/11/2024) გაცნობებთ, რომ საქართველოს საპატრიარქო წინააღმდეგი არ არის პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩისა და წმინდა მიხეილ ტყვრელის სახ. ტაძრის მიმდებარედ არსებულ სკვერს მიენიჭოს მომღერალ თამაზ სეფერთელაძის სახელი.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ,

პატივისცემით,

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს–პატრიარქის
მდივანი

დეკანოზი მიქაელ
ბოტკოველი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032504914**
თარიღი: **18/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მოქალაქე მაია დანელიას #19/03250291-03 და #19/03242402-03 წერილების საფუძველზე მიმდინარე საქმისწარმოების ფარგლებში განიხილავს თამაზ სეფერთელაძის ქუჩისთვის ძველი სახელის აღდგენა/მინიჭების საკითხს.
აღნიშნულის გათვალისწინებით და ოჯახის წევრებთან კონსულტაციების საფუძველზე შეირჩა უსახელო სკვერი მთაწმინდის რაიონში, ტვერელის ეკლესიის მიმდებარედ.
მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ მთაწმინდის რაიობში, პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01250503600**
თარიღი: **19/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 18.02.2025 წლის #03-032504914 (18.02.2025 წ. #14-01250491434-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიცირი
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თამაზ სეფერთელაძე

(1948-2023)

მომღერალი, ინჟინერი, ანსამბლ „ცისფერი ტრიოს“ წევრი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი

დაიბადა თბილისში 1948 წლის 9 აგვისტოს. 1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიზაციისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია 1972 წელს.

1972-1974 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის კომუნალური სამსახურების გაერთიანების თბომეურნეობის სამმართველოს საიზოლაციო სამსახურის უფროსად. 1976-1978 წლებში — საქართველოს პროფესიული კავშირების კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მშენებარე ობიექტების დირექციის დირექტორის მოადგილედ. 1978-1984 წლებში იყო მცხეთა-მთიანეთის მხარის საშენ მასალათა გაერთიანების დირექტორი, 1984-1991 წლებში — რესპუბლიკური გაერთიანება „საქრეკლამის“ გენერალური დირექტორი. 1991 წელს დაინიშნა საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილედ. 1994-1996 წლებში იყო საქართველოს საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობების საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე, 1996-2006 წლებში — თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2011 წლიდან მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მრჩევლად.

პროფესიულ საქმიანობასთან ერთად აქტიურად მოღვაწეობდა ესტრადაზე. ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მალხაზ თავართქილაძესთან და დავით აბესაძესთან ერთად ჩამოაყალიბა ვოკალური ანსამბლი „ცისფერი ტრიო“. ანსამბლმა 1973 წლიდან დაიწყო გამოსვლა, როგორც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის პროფესიონალურმა კოლექტივმა. ჯგუფი თავდაპირველად საქართველოს ტელევიზიისა და სახელმწიფო ფილარმონიის სახელით გამოდიოდა. 1985-1995 წლებში ტრიო გასტროლებს სუხიშვილების ანსამბლთან ერთად აწყობდა.

ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად აქვს მიღებული საქართველოს დამსახურებული და სახალხო არტისტის წოდება. 2002 წელს მიიღო ღირსების ორდენი. 2009 წელს ფილარმონიის წინ ტრიოს ვარსკვლავი გაუხსნეს.

1981 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, 1988 წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება

2002 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.